„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გაზეთი



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №10 (299) 27 ოქტომბერი 2020 წელი; ფასი 1 ლ.

## 31 ოქტომბერი – ხალხი გადაწყვეტს ვინ მოვიდეს ხელისუფლებაში, ვის მისცეს ძალა და უფლება!

## ხმა მივცეთ ფოთის ღირსეულ მაჟორიტარ კანდიდატს №70 საარჩევნო ოლქში

### ფოთის ოლქში რეგისტრირებულია 16 მაჟორიტარობის კანდიდატი

2 პარტია ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია- ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის, კანდიდატი = **გიგა ბოკერია**
5 საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" ,კანდიდატი = **მურთაზ ზოდელავა**
8 დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, კანდიდატი - **თეიმურაზ ფაჩულია**
14 ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი. კანდიდატი - **ლევან მარტიაშვილი**
19 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება- ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსი, კანდიდატი - **ირაკლი ბერაია**
20 პარტია საქართველო, კანდიდატი - **დავით დავითაია.**
21 პარტია თავისუფალი საქართველო, კანდიდატი - **თამარ ფაჩულია**
30 პარტია შეცვალე საქართველო, კანდიდატი - **მზია თამაზაშვილი**
36 გირჩი - კანდიდატი - **ბორის ყურუა**
41 პარტია ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო, კანდიდატი - **ირაკლი ხახუბია**
44 პარტია ქართული იდეა - კანდიდატი - **გიორგი გახოკიძე**
47 ზვიად ძიძიგური საქართველოს კონსერვატიული პარტია - კანდიდატი - **თეიმურაზ წურწუმია**
50 პარტია პროგრესული საქართველო კანდიდატი - **ზაალი დავითაია**
56 პარტია ლელო მამუკა ხაზარაძე - კანდიდატი = **გიორგი ბარამია.**
61 საინიციატივო ჯგუფი - **დათო სარსანია**
62 საინიციატივო ჯგუფი - **აპოლონ გარუჩავა**

## გახსოვდეთ!- ხელისუფლება და თანამდებობები დროებითია, მარადიულია უფალი და სამშობლო!

### პრემიერმინისტრმა - გიორგი გახარიამ, პარლამენტის თავმჯდომარემ-არჩილ თალაკვაძემ და პარტია „ქართული ოცნების" გენერალურმა მდივანმა კახი კალაძემ ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი კანდიდატი ირაკლი ხახუბია წარადგინა



18 ოქტომბერს ფოთის ჰიდროგრაფიის ცენტრში გაიმართა ფოთში სენაკსა და ხობში მაჟორიტარობის კანდიდატის **ირაკლი ხახუბიას** წარდგენა. სადაც სიტყვით გამოვიდნ პარტიის გენერალური მდივანი **კახი კალაძე**, საქართველოს პრემიერ მინისტრი **გიორგი გახარია**, პარლამენტის თავმჯდომარე **არჩილ თალაკვაძე**, რომელთაც დადებითად შეაფასეს ბატონ **ირაკლი ხახუბიას** მაჟორიტარ დეპუტატად მოღვაწეობის პერიოდი.

ბატონმა ირაკლიმ თავის გამოსვლაში აღნიშნა:

„უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარეს, ბატონ **ბიძინა ივანიშვილს** და მთელ გუნდს ნდობისთვის. ვიყო ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ეს უდიდესი პასუხისმგებლობა და პატივია.

მაქსიმალურად ვიქნები ინიციატორი და განხორციელების პროცესში აქტიურად ჩართული ყველა იმ პროექტსა და პროგრამაში, რაც ფოთის, ხობის და სენაკის მაცხოვრებლების კეთილდღეობისკენ იქნება მიმართული. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ერთობლივი მუშაობით 4 წლის შემდეგ უფრო ლამაზ და განვითარებულ მუნიციპალიტეტებს მივიღებთ. ძალ-ღონეს არ დავიშურებ და აქტიურ ლობირებას გავუწევ ყველა იმ პროექტს, რაც ფოთელების, ხობელებისა და სენაკელების წინსვლასა და წარმატებას უზრუნველყოფს.

ჩვენი ხელისუფლების პირობებში ფოთში არაერთი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტი განხორციელდა.



გაგრძელება მე-3 გვ.ზე

## „ოცნების" ბედს გადაწყვეტს ქართველი ხალხი, და არა სააკაშვილ-ბოკერია-უგულავები, როგორც დამნაშავე რეჟიმის სულისჩამდგმელები



ჩვენც 30 წელი სულ შეცდომებზე ვიარეთ დემოკრატიის გზაზე

### მათ ხალხი ნიუნბერგის პროცესს მოუწყობს

მე-2-გვ

## მილოცვა ნაპო თოდუას



ფოთის დამსახურებულ მშენებელს, ფოთის საპატიო მოქალაქეს ვულოცავთ ნიკო ნიკოლაძის მედლით დაჯილდოებას, რომელიც მას ნაყოფიერი შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის გადასცა ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებამ.



## პარტია „თავისუფალი საქართველო" – ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი



*თამარ ფაჩულია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მენტორი მასწავლებელი, ტრენერი, შპს "თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის» დამფუძნებელი, რეგიონალური კერძო სკოლების საინიციატივო ჯგუფის კოორდინატორი, 2016, 2018 და 2020 წლების ფოთის საუკეთესო მასწავლებელი, „პერსონა 2018" ტიტულის მფლობელი, უამრავი სერტიფიკატისა და სიგელის მფლობელი.*

*მისი სლოგანია - **სიყვარულით ვუპატრონებ სამივე ქალაქს.***

*კანონებით მოვაგვარებ პრობლემებს. მივეკუთვნები იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც თვითონ შექმნა თავისი თავი, ამიტომ დაგეხმარებით იმაში, რომ თავად შევქმნათ ჩვენი ქალაქი. მივხედავ ეკოლოგიურ პრობლემებს.*

*ამ ქალაქში ცხოვრება უნდა გვიხაროდეს და ახალგაზრდებს ადგილზე დარჩენის სურვილი უნდა გავუჩინოთ.*

გაგრძელება მე-4 გვ.ზე

# ,,ოცნების" ბედს გადაწყვეტს ქართველი ხალხი, და არა სააკაშვილ-ბოკერია-უგულავები, როგორც დამნაშავე რეჟიმის სულისჩამდგმელები

დემოკრატია, როგორც დიდმა ჩერჩილმა ბრძანა,დიდი ვერაფერია, მაგრამ უკეთესიც ვერ გამოვიგონეთო.

## ჩვენს 30 წელი სულ შეცდომებზე ვიარეთ დემოკრატიის გზაზე


ამათი იმედი აქვს ქვეყანას?

ფსევდოდემოკრატიამ ათას უბედურებას გადაგვკიდა, შენდებოდა პარკები და ავტობანები,პორტები და აეროპორტები, ცხადია, ეს აუცილებელია ქვეყნის საერთაშორისო იმიჯისათვის.მაგრამ მთავარი ამ ქვეყანაში ხალხის ინტერესებია.

ადამიანის თავისუფლება არ არსებობს იქ, სადაც სოციალური უთანასწორობა და ჩაგვრაა. ხალხი ღარიბდება და ხელისუფლება მდიდრდება, და ასე იქნება ვიდრე დემოკრატიის და კლანების ბედნიერების მიზანი არჩევნები ხელისუფლებას ვერ გაცდება.

მავანნი ჯერ არ აურჩევიათ და პრემიერად ასახელებს თავს, მილიონიანი ბილბორდებიდან შემოგვცქერიან მომღიმარი კანდიდატები, რა ვქნათ, პრემიერის ერთი ადგილია მხოლოდ.

პრემიერად იწვევენ საერთაშორისო ცირკულარით ძებნილ სააკაშვილს, ვიდრე ეს ფენომენი არ მოიშლება, მოსვენება არ გვექნება.

შეიძლება ივანიშვილი არ მოგწონდეს, ამიტომ სააკაშვილს უნდა მიეკედლო? დამნაშავე რეჟიმის შემოქმედს?

შალვა ნათელაშვილი ზუგდიდში ჩავიდა უგულავას მხარდასაჭერად.

სამეგრელოს უნდა ახსოვდეს რა დღე აყარა ამ ბანდამ, თუმცა, სააკაშვილი ხან ცოლს აგზავნის საარჩევნო მეტოქედ, ხან - დედას.

ოქრუაშვილსაც დაავიწყდა რა დღე აყარა სააკაშვილმა ციხეში,არც გუმბაზ სანიკიძეს გახსენებია სახელოვანი მამა ლევან სანიკიძე,როცა ქვეყნის მოღალატეს სომეხ სააკაშვილს კიევში ეახლა.

რა უნდა გაგვიკვირდეს არჩევნების გამყალბებლის ოსტატისგან.ქნ გოგორიშვილისგან,გურიიდან ჭკუას ,რომ გვასწავლის,რომელი ინდირაგანდი ესაა,ბოკერია,ბაქრაძე, უგულავა ახლა აგინებს სააკაშვილს, მაგრამ 10წლის უკან ვინ დაუშალა, შეხმატკბილებულად, რომ ძარცავდნენ ქვეყანას.

ამ პატარა წერილში ძნელია გააშიშვლო ვაიპოლიტიკოსთა კოჰორტა.

ხალხი დაიბნა არ იცის ვის მიეკედლოს,არ ჩანს ახალი პოლიტიკური ძალა და თუ ჩანს სააკაშვილსაც არაფრით ჩამოუვარდება.

სიყალბეშია ჩაფლული პოლიტიკური ცხოვრება, ვითომ აწუხებთ დავით გარეჯი,კრიმინალი და ხალხის გაჭივრება.

მმართველ პარტიას მთავარ ოპოზიციად მიაჩნია ნაცმოძრაობა,რომლის გასამართლებასაც ხალხი ითხოვდა.

შესაძლოა პირიქით მოხდეს თუ ეს შავბნელი ძალა,ისევ დავტოვეთ პოლიტიკურ ასპარეზზე.

დემოკრატიული ცხოვრება პარადოქსებითაა სავსე,ზვიად გამსახურდიას პარტია მინიმალურ ხმებს იღებს,ეროვნული სულისკვეთება სოციალურმა პრობლემებმა გადაფარა.

პარტიების კინკლაობას ლამის გადაყვეს ქვეყანა, ვერ გაიგებ, რომელი ქვეყნის დავალებას ასრულებენ, 30 წლიანი დემოკრატიული ბიოგრაფია სავსეა მტრობითა და ღალატით,შურითა და სიძულვილით, არადა, როგორ ნატრობდა დიდი ვაჟა, ღმერთო ქართველებს შეაყვარე ერთმანეთიო, არადა, ამის ეშინოდა შაჰაბასს. და მტრებს ქართველებს შორის ეძებდა.

ჩვეულებრივ მოვლენად იქცა სპეკულაცია პატრიოტიზმით, ხალხის გაჭირვებით,თავად მდიდრდებიან, პოლიტიკიდან ბიზნესში ინაცვლებენ,ეკლესიებს გვიშენებენ ღმერთი იყოს თქვენი მმფარველიო.

დღემდე ვერ ჩამოყალიბდა პოლიტიკური პარტია,მოდიან რევოლუციურ ტალღაზე, არა აქვთ იდეა და სოციალური საფუძველი,ფინანსურ შესაძლებლობებთან ერთად მთავრდება მათი შესაძლებლობები.ვითომ დემოკრატიული მედია დამნაშავე პარტიების სამსახურშია და ყოფნით სითამამე ჭკუა ასწავლონ ქვეყანას.

ჩვენ გავიმარჯვებთ! ისმის ყველა ქალაქში, ყველა მხარეში,თითქოს დიდგორი იყოს, ნადირობენ ხალხის ხმებზე, რომელიც შემდეგ არ ახსოვთ,ერთ ბრძენს უთქვამს სამი რამ აკლიაო სამყაროს, ზღვას - ხიდი, ცას-კიბე და სახელმწიფოს სამართალი. სამართალი აკლია ჩვენს დემოკრატიას, ვინ შეიტანს შუქს ამ უმეცრებაში ვერ გეტყვით, მანამ კი დემოკრატიის სახელით არ მოგვეშვება მავანნი.

სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობა წარმოუდგენელია სამართლიანი დემოკრატიული არჩევნების გარეშე.

ჩვენ უნდა გავიაზროთ ვინ დგას ჩვენსა და ქვეყნის განვითარებას შორის, ჩვენსა და ხალხის კეთილდღეობას შორის.ეს არის უსამართლობა და კორუფცია ყველა დონეზე.

მსოფლიო ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, პოლიტიკურად დაპირისპირებულ ქვეყანას გაუჭირდება მყარი ადგილის დამკვიდრება, არადა, იგი ევრაზიის ფორფოსტია აბრეშუმის დიდ გზაზე.

ამიტომ უნდა დავფიქრდეთ ვის ვვირჩევთ, ვის ვაბარებთ ქვეყანას.

ზ. აბრალავა

# მელიორაციის ახალი სამსახური ინფრასტრუქტურის განვითარების საფუძველი.

## საპორტო ქალაქის ინფრასტრუქტურა ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა მისი შემდგომი გაფართოების უზრუნველსაყოფად



ბოლო დრომდე ქალაქს არ ჰქონდა ერთიანი სამელიორაციო პოლიტიკა, რომელიც განაპირობებს ქალაქის ტერიტორიის სანიაღვრე წყლების გაყვანას და დატბორვის თავიდან აცილებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ფოთი საქართველოში ტერიტორიულად მეორეა თბილისის შემდეგ, აქ არის 54 ქუჩა საერთო სიგრძით 32731 მეტრი.

არხების სიგრძე 47758 მეტრია, მისასალმებელია, რომ ამ დიდი, მართლაც მარადიული პრობლემის მოსაგვარებლად შეიქმნა ახალი სამსახური, ფოთის მუნიციპალიტეტის მელიორაცია,რომლის მთავარი ამოცანაა დატბორვის თავიდან აცილება,დაჭაობებული უბნების დაშრობა. სატუმბი სადგურების სამუშაო რეჟიმის და კალაპოტების რეგულირება. ხელოვნური წყალსატევების წყალმომარაგება ქალაქში მელიორაციული სისტემის გამართვა.

ახალი სამსახურის ხელმძღვანელად დაინიშნა გამოცდილი პიროვნება **ზურაბ გულორდავა**, მის კაბინეტში მაგიდაზე დევს ქალაქის სამელიორაციო მდგომარეობის სისტემური ანალიზი. ზუსტადაა გაწერილი უბნებისა და ქუჩების მიხედვით ჩასატარებელი სამუშაოები.

სურათი მართლაც მძიმეა,მაგრამ როგორც თავად ამბობს,გამოცდილ ენერგიული ადამიანების თანადგომის იმედი აქვს. **ვაგნერ მხეიძე** მისი მოადგილეა,ის გამოცდილი მელიორატორია,წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამელიორაციო სამშენებლო სამმართველოს საქმიანობას.

წყალსაწრეტი არხების მდგომარეობა ბევრგან სავალალოა, ჩასაწყობია რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, მაგრამ დატბორვის ყველაზე საშიში ზონა რიონის წყალგამყოფი გალერეაა. სასწრაფოდ უნდა დაიწყოს მისი გაწმენდითი სამუშაოები, რაც კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს და დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ სატუმბი სადგურები განახლებას საჭიროებს, არა აქვთ სარეზერვო ელექტრომომარაგება.

ბევრგან მოსაწყობია ახალი სატუმბი სადგურები, განსაკუთრებით არხების შეკრების ადგილას. უხვი ნალექების დროს ეს პრობლემური ადგილებია.

საჭიროა მუნიციპალიტეტის სანიაღვრე კანალიზაციისა და სამელიორაციო სისტემების ერთიანი პოლიტიკის განხორციელება, ერთიანი კონტროლო და ზედამხედველობა.

ახალი სამსახური მატერიალურ უზრუნველყოფას და მხარდაჭერას მოითხოვს, სამუშაოების სირთულეებიდან გამომდინარე ესაჭიროებათ ახალი თანამედროვე ტექნიკა, ამწე კრანები,თვითმცლელი ტექნიკა, ტრაქტორები და ა.შ.

წარმატებებს ვუსურვებთ ახალ სამსახურს/

ქალაქის მელიორაციული ვითარების გაჯანსაღების საქმეში.

# ნიკოობა 2020- დიდი ჯიხაიშში



ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 177-ე წლისთავთან დაკავშირებით სოფელ დიდ ჯიხაიშში გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

,,ფაზისიდან ფოთამდე" - წიგნის პრეზენტაცია ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებისა და გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილის ფონდის გამოცემა.

ტექსტის ავტორი: ნათია ჯანაშია;

მხატვარი: ოთარ იმერლიშვილი

რედაქტორი: გიორგი ფარეშიშვილი.



ნიკო ნიკოლაძე - "უცნობი ნაცნობი"- წიგნის პრეზენტაცია

ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებისა და გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილის ფონდის გამოცემა.

რედაქტორები: ლია ბიბილეიშვილი, რამაზ ნამიჭეიშვილი.

ნიკო ნიკოლაძის წერილები „სომხურ-ქართული ურთიერთობანი 1893-1898 წლებში"-წიგნის პრეზენტაცია

ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებისა და გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილის ფონდის გამოცემა. დალი ჩიკვილაძის თარგმანი და კომენტარები.

რედაქტორი: ლაურა კუტუბიძე;

მხარდამჭერი „ჯეპრა"

"მოგონებების აკიდო"- დალი ჩიკვილაძე -

მარინე ვეკუას შედგენილი მოგონებები დალი ჩიკვილაძეზე; გამომცემელი ნიკო ნიკოლაძის საზოგადოება;

დოკუმენტური ფილმის ჩვენება „დროსგასწრებული მამულიშვილი"- ნიკო ნიკოლაძე

ფილმი გადაღებულია ევროკავშირის პროექტის -,,საზოგადოების ჩართულობაზე ორიენტირებული თვითმმართველობის განხორციელება ქალაქ ფოთსა და აბაშის მუნიციპალიტეტებში" ფარგლებში.

ფილმის ავტორი: თამარ თაგვაძე

ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს პრეზიდენტი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში ზვიად შალამბერიძე, ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია, საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, ასევე მოწვეული სტუმრები, ნიკოლაძის მკვლევარები სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.



საზოგადოებას ასევე სიტყვით მიმართა და წიგნები წარუდგინა საზოგადოების თავმჯდომარემ: გიორგი ფარეშიშვილმა, ასევე პრეზიდენტს გადასცა ფოთისა და ხობის კიტროპოლიტი გრიგოლის წერილი და საჩუქარი (ფოთის საკათედრო ტაძრის ბრინჯაოს მაკეტი) ფილმი კი წარადგინა თამარ თაგვაძემ. ასევე წიგნები წარადგინეს რედაქტორებმა და შემდგენელებმა: ლაურა კუტუბიძემ,ლია ბიბილეიშვილმა რამაზ ნამიჭეიშვილმა.

ღონისძიების ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ღირსების მედლით გარდაცვალების შემდეგ დააჯილდოვა ცნობილი მეცნიერი და ნიკოლაძის მკვლევარი, საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე დალი ჩიკვილაძე და ასევე დიდი ჯიხაიშის მუზეუმის ხელმძღვანელი ქალბატონი ლია ბიბილეიშვილი.

ღონისძიება პრეზიდენტის ადმინისტრაციის, ნიკო ნიკოლაძის საზოგადოების და გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილის ფონდის ორგანიზებით გაიმართა.

# პრემიერმინისტრმა -გიორგი გახარიამ, პარლამენტის თავმჯდომარემ-არჩილ თალაკვაძემ და პარტია „ქართული ოცნების” გენერალურმა მდივანმა კახი კალაძემ ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი კანდიდატი ირაკლი ხახუბია წარადგინა

## ირაკლი ხახუბია: ნიკო ნიკოლაძის კონცეფცია ფოთის - საქართველოს საზღვაო კარიბჭის განვითარების შესახებ ახალ მნიშვნელობას იძენს „აბრეშუმის დიდ გზაზე”



***მინი დოსიე:*** *დაიბადა 1971წ 15 მაისს ქ ფოთში.დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სპეციალობით-ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა, აგრეთვე თბილისისა ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა-ინსტიტუტი, სპეციალობით - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.*

*1988-1989წლებსი მუშაობდა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სარემონტო- სამშენებლო სამმართველოს საწარმოში უბნის ზეინკლის მოწაფედ,ზეინკლად. 1994-1995 წლებში იყო შპს,,ბესსის,,მარკეტინგული განყოფილების გამგე. შემდგომ წლებში იყო ს/ ს ,,ფოთინავთობპროდუქტის,,დირექტორი კომერციულ დარგში.*

*2000წლიდან სამსახურებრივი კარიერა გააგრძელა საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს სამართალდარღვევების წინააღმდეგ მებრძოლ სამმართველოში.შემდგომში, მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე.საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტსა და ფინანსური პოლიციის ოპერატიულ დეპარტამენტში.*

*2010 წელს - დააფუძნა შპს ,,აისბერგი”, 2012 წელს კი - ,,ჯეონათსი”, 2016 წელს ,,ქართული ოცნების” წარდგენით, ფოთის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულ იქნა მე9 მოწვევის პარლამენტის წევრად. არის საპარლამენტო ფრაქცია ,,ქართული ოცნება” - ,,ძლიერი ეკონომიკის,, თავმჯდომარის მოადგილე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტისა და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი.*

*ჰყავს მეუღლე და შვილი, შვილიშვილები.*

დასაწყისი 1 გვ-ზე

**ირაკლი ხახუბიას გამოსვლიდან:** ავაშენეთ სასწრაფო დახმარების ახალი შენობა,ქალაქს გადმოეცა რეანომობილი. გაიხსნა სამშობიარო სახლი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა შემოსასვლელ ხიდს. მალე გაიხსნება ფოთის საზღვაო აკადემია, რომელიც სტუდენტებს მომავალი წლიდან მიიღებს. აშენდა ფეხბურთის ცენტრალური სტადიონი და ბავშვთა საფეხბურთო აკადემია. ფოთში უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი საცურაო აუზი და სპორტული კომპლექსი მალე გაიხსნება. ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია და კუნძულის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა დასასრულს უახლოვდება. მიმდინარეობს ქალაქში არსებული კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ფონდ “ქართუს”.

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ და კიდევ მეტს გავაკეთებთ დევნილების პირობების გასაუმჯობესებლად, თავიანთ მხარეში დაბრუნებამდე.

მიუხედავად დიდი პროგრესისა, ფოთი არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. ორი მთავარი პრობლემა, რაც ქალაქს დღეს აწუხებს, ეს არის წყალანირების სისტემა და საგზაო ინფრასტრუქტურა, თუმცა, ამ მიმართულებებითაც მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს...

*უკანასკნელ წლებში საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულმა ეფექტურმა საგარეო და საშინაო პოლიტიკის შედეგად 473 მილიონი აშშ დოლარის ამერიკული და ევროპული ინვესტიციებით ფოთში ორი ახალი ნავსადგურის მშენებლობა მიმდინარეობს. ქალაქისა და პორტის სატრანსპორტო პოტენციალის ზრდასთან ერთად, ამ პროექტის განხორციელება მთამბეჭდავ ეკონომიკურ ეფექტს მოგვიტანს, მათ შორის ახალი სამუშაო ადგილების შექმნით ახალ საკონტეინერო ტერმინალებისა და საპორტო ინფრასტრუქტურაში დასაქმდებიან, როგორც ფოთელები, ისე სხვა რეგიონების მაცხოვრებლები.*

დასახლებულ ტერიტორიაზე იმატა ხმაურმა და მტვერმა. დავიწყეთ ფიქრი ახალი შემოვლითი გზის მშენებლობაზე, რომელიც განტვირთავდა მოძრაობას ნაბადის უბნის ქუჩებზე, ასევე მდ. რიონზე გადასასვლელი ხიდის და გზების მშენებლობასაც.

## ირაკლი ხახუბიას-ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ქალაქში მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა (2016-2020]

### ირაკლი ხახუბიას ინიციატივითა და მთავრობის მხარდაჭერით ფოთი დაიწყო ახალი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა



### საუკუნის მოვლენა

დღეს გაიხსნა საზღვაო აკადემია, რაც იქნება ამ დარგის სპეციალისტთა მომზადების ძლიერი კერა



### ფოთში ახალი შემოვლითი გზის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი.



ფოთის ნავსადგურში გაზრდილმა ტვირთბრუნვამ ფოთში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაფართოების, პირველ რიგში კი, ახალი გზების მშენებლობის საკითხი წამოჭრა. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დასახლებული უბნების გვერდის ავლით აშენდეს საავტომობილო გზა, რომელიც ნავსადგურს, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას, ეკონომიკური გაფორმების ზონასა და სხვა ტერმინალებს დაუკავშირდება. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადდა ტენდერი შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის “სენაკი-ფოთი-სარფის ს/გზის 30.კმ-ე ფოთის პორტთან (ხობის ქუჩის გავლით) მისასვლელები“ საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების ან/და ფოთის ახალი შემოვლითი გზის სამშენებლო სამუშაოების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომსახურებაზე.

ამის პარალელურად, ქალაქ ფოთის შემოსასვლელში მდინარე რიონზე, აზიის ბანკის დაფინანსებით, მიმდინარეობს 431 მ. გადასასვლელი ხიდისა და ორკილომეტრიანი მისასვლელი გზის მშენებლობა, რომელიც 60- -70 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შემადგენელი ნაწილია.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ფოთში 4 ცენტრალური ქუჩის - აკაკის, წმინდა გიორგის, ჭავჭავაძისა და რეკვავას ქუჩების რეაბილიტაციას აფინანსებს და ეს სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

### ფოთში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის და საცურაო აუზის მშენებლობა დასრულების ეტაპზეა, რომლის თანხების ნაწილი მაჟორიტადრმა დეპუტატმა ირაკლი ხახუბიამ მოიზიდა






ქალაქ ფოთში უეფას მესამე კატეგორიის სტადიონის ტრიბუნების მოწყობის და სათადარიგო ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობის სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

პროექტის ფარგლებში, შენდება ცენტრალური სტადიონის სამხრეთი და ჩრდილოეთი ტრიბუნა, რომელიც სულ 2740 მაყურებელზეა გათვლილი. ასევე, დაგეგმილია ხელოვნურსაფარიანი სათადარიგო მოედნის მოწყობა. ტრიბუნის ქვეშ მოეწყობა გასახდელები, სველი წერტილები, სწრაფი კვების სივრცეები და სხვა სამეურნეო სათავსები. ასევე, მოეწყობა სპეციალური სივრცეები ტელერეპორტაჟებისთვის. სამხრეთ ტრიბუნაზე დამონტაჟდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლედ-ტაბლო. მონტაჟდება ძირითადი სტადიონის განათების, გახმოვანების და სახანძრო სისტემები. პროექტი მუნიციპალური ფონდის მხარდაჭერით და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 5.3 მილიონი ლარია.

# ირაკლი ხახუბიას-ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ქალაქში მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა (2016-2020]

## ფოთში, პროფესიული კოლეჯი „ფაზისის" ტერიტორიაზე პროფესიული სწავლების სახელოსნოები შენდება




ავტომობილის ძრავისა და სავალი ნაწილის შეკეთების და შედუღების შესასწავლად საჭირო სახელოსნოების მშენებლობის დასრულება მიმდინარე წლის ბოლომდე იგეგმება. სახელოსნოების აშენების მიზანი სტუდენტებისთვის პრაქტიკის გავლის შესაძლებლობის მიცემაა - სასწავლო პროგრამისა და პროფესიის წარმატებით დაუფლებისთვის.

საქართველოში პროფესიული განათლების მიღება ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია.

სახელმწიფო სრულად აფინანსებს სახელმწიფო სასწავლებლებში სწავლას, ასევე ნაწილობრივ კერძო კოლეჯებში სწავლას პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაღალია და მზარდი.

## ფოთის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკში მასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობს.




პროექტის ფარგლებში ეწყობა საფეხმავლო ბილიკები, შენდება სასცენო ნაგებობა, დაგეგმილია დასასვენებელი ბაქნების და სათამაშო (საბავშვო) მოედნების, გაზონის, საპარკო სკამების, სასმელი წყლის შადრევნების, დეკორაციული განათების ბოძების მოწყობა და ა.შ.

ფოთის ცენტრალური პარკში მრავალწლიანი, უნიკალური ჯიშების საზღვარგარეთიდან ჩამოტანასა და პარკის განაშენიანებაზე ზრუნავდა ფოთის ქალაქის თავი ნიკო ნიკოლაძე. აღდგენითი სამუშაოების შემდეგ ფოთის ცენტრალური პარკი ფოთელთათვის თავშეყრის, კულტურული და სოციალური ღონისძიებების ჩატარების მთავარი ადგილი იქნება.

## ფოთის მუნიციპალიტეტში ავტოპარკის მშენებლობა დასრულების ეტაპზეა



სრული ინფრასტრუქტურით აღჭურვილი პარკი არსებულ ტრანსპორტთან ერთად, იმ 10 ახალ ავტობუსს მოემსახურება, რომელსაც ქალაქი "საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამის" ფარგლებში მიმდინარე წლის ნოემბერში მიიღებს.

ახალი ავტოპარკის მშენებლობა და 10 ახალი ავტობუსის შემოყვანა ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების ხარისხს გააუმჯობესებს და ფოთელებისათვის ქალაქში გადაადგილებას მეტად კომფორტულს გახდის .

„ ფოთში საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა დღეისათვის მოქალაქეებისთვის ნაკლებად მიმზიდველია მოძველებული ტრანსპორტის გამო. ავტოპარკის განახლების შემდეგ საჯარო ტრანსპორტით სარგებლობა გაიზრდება.ახალი ვტობუსები ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვისაც.

ქალაქის ფუნქციონირებას და მოქალაქეების ცხოვრებას მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მოწესრიგებული საჯარო ტრანსპორტი, როგორც სწრაფი, ეფექტური და იაფი გადაადგილების საშუალება. ფოთის საქალაქო განვითარებისთვის აუცილებელია საჯარო ტრანსპორტის განვითარება და მისი თანამედროვე გამოწვევებზე მორგება"- განაცხადა ფოთის მერმა.

ავტოპარკის სამშნებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს "იმედი" ასრულებს.




## ქ. ფოთში მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენის სამუშაოები




ქალაქ ფოთში აქტიურად მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენის სამუშაოები, რომელსაც ფონდი "ქართუ" კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად ახორციელებს.

აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე შენობას და თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე მხატვართა სკოლას სრული რეაბილიტაცია უტარდება. სამუშაოების ჯამური ღირებულება 2, 8 მლნ ლარია.

სამხატვრო სკოლაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარე წელს, ხოლო აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე შენობის რეაბილიტაცია მომავალ წელს დასრულდება, სადაც მხატვართა სახლი განთავსდება.

# პარტია ,,თავისუფალი საქართველო''- ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თამარ ფაჩულია



დასაწყისი 1-გვ-ზე

*1. პარტიის მიზნები და ამოცანები*

პარტია „თავისუფალი საქართველოს" მიზნები რამდენიმე პუნქტიანია. ჩვენი მიზანია დასრულდეს ორი პარტიის მონოპოლია, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის განვითარებას.

პარტიის მიზანია ქვეყანაში ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა. დღეს საუბრობენ, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს ლიბერალური პოლიტიკა, რომ საქართველომ უნდა აწარმოოს თავისუფალი ვაჭრობა. ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოს არ უნდა ჰქონდეს ღია ეკონომიკური საზღვრები. არ შეიძლება ქართველი და თურქი ერთნაირ პირობებში გვყავდეს. ქართველს უნდა ჰქონდეს შეღავათი და არა უცხოელს. ჩვენი მიზანია ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღება.

მიზანად ვისახავთ მედიკამენტების შესახებ კანონის შემოღებას. იაფი მედიკამენტების პროგრამას ერთი წელია ახორციელებს პარტია. აფთიაქებიც მონოპოლიზებულია. ისინი ძარცვავენ მოსახლეობას.

პარტიის მიზანია კანონის შემოღება საბანკო გამოსახლების შესახებ, მევახშეობის აკრძალვა. ბანკის ფუნქცია არის ეკონომიკის დაფინანსება. ისინი მოგებას ხედავენ ფიზიკური პირების სახლებიდან გამოსახლებით, ეს არის მევახშეობა.

პარტიის მიზანია სამართლიანი პენსიის დაწესება, რაც გულისხმობს პარლამენტარის ხელფასის 10 %-ის ოდენობას. პენსიების სწრაფი ზრდა თეორიულად შეუძლებელია, მაგრამ მალევე შეიძლება პენსიებისა და მაღალჩინოსნების ხელფასებს შორის სამართლიანი თანაფარდობა. დასავლურ ქვეყნებში პარლამენტარის ხელფასი საშუალოდ 6-7-ჯერ აღემატება მინიმალურ პენსიას, საქართველოში კი 20-ჯერ.

პარტიის მიზანია ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაცია, საჭიროა დაიწყოს სეპარატისტულ რეჟიმთან პირდაპირი დიალოგი. ზვიად გამსახურდიამ არძინბასთან როცა გამართა მოლაპარაკება, ისინი დათანხმდნენ აფხაზეთის სტაუსს ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. ჩვენც უნდა წავიდეთ დათმობებზე, მაგრამ უნდა მოიძებნოს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს სტატუსები ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში.

ჩვენი მთავარი ამოცანაა სასკოლო განათლების სისტემის გაჯანსაღება. პირადად მე ვიმუშავებ განათლების საკითხებზე. გათანაბრება სტანდარტული ვაუჩერის - კერძოსაც სრული რაოდენობის ვაუჩერი, რაც საჯაროს აქვს. სტატუსზე დანამატის გაცემა კერძო სკოლის პედაგოგებსაც უნდა მიეცეს. კერძო სკოლების გათავისუფლება წნეხისგან (ავტორიზაცია). ერთხელ როცა გაივლის სკოლა ავტორიზაციას, არ სჭირდება შემდეგ ყოველ 6 წელში გავლა. ჩასაფრება, მონიტორინგით შეშინება და ა.შ. სახელმწფო საჩუქარი უკლებლივ ყველა მოსწავლეს უნდა შეხვდეს, როგორიცაა: პირველკლასელთა ბუკები, სახელმძღვანელოები, ჩემი პირველი კომპიუტერი საბაზო საფეხურის მოსწავლეს. საჯარო სკოლის დირექტორს მივცემთ მაღალ ლეგიტიმაციას, ის უნდა იყოს ლიდერი და არა რესურსცენტრი.

*2. პირადი ხედვები ფოთის განვითარებაზე*

პირველ რიგში, დავიცავ ჩემი ქალაქის ინტერესებს. დავსვამ საკითხებს, რომელიც გლობალურად უნდა გადაწყდეს. მთავარი კანონებია, კანონებით შეიძლება პრობლემების მოგვარება. მაგ. კანონი, რომელიც აკრძალავს თურქული სეინერების თევზჭერას. ინვესტიციები უნდა ჰქონდეთ მეთევზეთა ოჯახებს, რომლებიც დაიჭერენ თევზს და ისე შეინახავენ ოჯახებს. ხალხი ცუდად ცხოვრობს, მთავრობამ კი სხვა გზები უნდა მოძებნოს ბიუჯეტში ფულის შესატანად. ხალხმა კარგად უნდა იცხოვროს. მიწები უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს ხალხს, რომ დაამუშაონ.

მიმაჩნია, რომ უნდა შეიქმნას რეგიონალური მმართველობის დონე. ჩვენ გვაქვს ორ დონიანი მმართველობა: ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობა. არ გვაქვს რეგიონის დონე. მუნიციპალიტეტში პროექტების შედგენა-განხორციელება უნდა დაევალოს რეგიონს,და არა თბილისს.

ფოთის პორტის შემოსავლები (ნახევარი) უნდა დარჩეს ადგილობრვ ბიუჯეტში ქალაქის განვითარებისათვის, დეცენტრალიზაციის გზით უნდა მოხდეს ჩვენი ღარიბი ქალაქის განვითარება.45 მილიონია ფოთის შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში. ფოთის ბიუჯეტი 15 მილიონია, შემოსავლების 75% მიდის ცენტრალურ ბიუჯეტში, რაც არასწორია. ფოთს უნდა დარჩეს ნახევარი, რომ ქალაქს დავამსგავსოთ. ფოთში სასწავლებელი არა, კინო არა, თეატრი არა, გზები არა, კანალიზაცია არა, ბევრი არა შეიძლება ჩამოვთვალოთ და ეს ქალაქის კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს და ამაზე უნდა ვიზრუნოთ.

გვჭირდება შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი სასწავლებლის გახსნა განათლების მიღების მიზნით. სხვათა შორის, კარგია „გიდროს" შენობის მშენებლობის საკითხის მოწესრიგება რომ გადაწყდა, მაგრამ თამამად ვიტყვი, ის შენობა გაყიდვას ჩემი დამსახურებით გადაურჩა. ფოთის ყოფილი მერი ლემონჯავა გაყიდვისთვის ამზადებდა, რასაც ხელს ვუშლიდი, შემდეგ ფოთელი ბიზნესმენები დღეს რომ პოლიტიკოსობენ, ისინი აპირებდნენ ყიდვას, თუმცა მე არაერთხელ მივმართე წერილობითი განცხადებებით ზემდგომ ორგანოებს, ბოლოს ივანიშვილს გავუგზავნე წერილი 2018 წელს იმ მოთხოვნით, რომ ეს შენობა ქალაქს არ უნდა გაეყიდა და ვაცნობე ფოთელთა მოლოდინის შესახებ, რაც სასწავლებლის გახსნას ითვალისწინებდა. ასეთი ბრძოლით გადავარჩინე შენობა გაყიდვას.

*3. დღეს შექმნილ მდგომარეობაზე*

დღეს ხელისუფლებამ ხალხის კმაყოფილება ვერ დაიმსახურა. ხალხი ნორმალურად ვერ ცხოვრობს. არის შემაძრწუნებელი სიღარიბე, რომელიც წყნარად ცხოვრების საშუალებას არ გვაძლევს. ხალხი უნდა გააქტიურდეს.

ჩვენ გვაქვს შექმნილი ასეთი სტერეოტიპი-ბიზნესმენი, მეწარმე, მდიდარი ადამიანის არჩევა დეპუტატად, რომელიც არ გვაძლევს ეფექტურ შედეგს, ამიტომ ეს მიდგომა უნდა დავანგრიოთ.

საკუთარი ავტორიტეტით შევაგროვეთ თანამოაზრეები და არა ფულით, შიშით, ტერორით, ძალადობით, უსამართლობით. ამომრჩევლებს ყოველწლიურად შევხვდეთ გაკეთებული საქმეების ანგარიშით და არა წინასაარჩევნოდ. ვიმოქმედოთ, ჩავინიშნოთ შენიშვნები, გამოვასწოროთ და ვისწავლოთ ჭკვიანი ადამიანებისაგან.

თუ ჩვენ არ შევეცდებით, პირადი შესაძლებლობების ფარგლებში, ჩვენ ირგვლივ რაიმეს შეცვლას, ყველაფერი დარჩება ისე, როგორც დღეს არის. ვიბრძოლოთ ბედნიერი ფოთისათვის და ბედნიერი ქვეყნისათვის.

წიგნის პრეზენტაცია

# რომან მელია
# „ფოთი-გუშინ, დღეს... ხვალ?"



3 ოქტომბერს ფოთის ცენტრალურ პარკში გაიმართა რომან მელიას წიგნის **„ფოთი-გუშინ, დღეს... ხვალ?"** პრეზენტაცია, რომელსაც სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, თბილისიდან მოწვეული სტუმრები და სასულიერო პირები ესწრებოდნენ. როგორც ფოთის საზოგადოებისათვის ცნობილია წიგნში უმთავრესი ყურადღება გამახვილებულია ფოთის განსაკუთრებულ სტატუსზე.

პრეზენტაციას უძღვებოდა ქალაქის კულტურის და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი **ირმა გუგუშვილი**.

პრეზრნტაცია დაიწყო იმდროინდელი ვიდეო კადრების ჩვენებით, სადაც ასახული იყო რომან მელიას მოღვაწეობა ფოთში, როგორც სამეურნეო მუშაკის და შემდეგ როგორც ქალაქის თავის. რომან მელიას მოღვაწეობა დაემთხვა იმ ისტორიულ მოვლენებს რომელიც სავსე იყო კატაკლიზმებით, დრამატული მოვლენებით. წიგნში გადმოცემულია ნიკოლაძისეული ფოთის განვითარების კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებდა ნავსადგურისა და მისი ინფრასტრუქტურის - ქალაქის განვითარების ერთიან მექანიზმს: „ძვირფასო მეგობრებო, თქვენ ხელთ გაქვთ ავტობიოგრაფიული ჟანრის წიგნი, შინაარსობრივად საინტერესო, ფოტოილუსტრაციებით გამდიდრებული. რომელშიც ბატონ რომან მელიას თვალით დანახული მნიშვნელოვანი მოვლენებია აღწერილი ჩვენი ქალაქის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებიდან. წიგნში ასახულია ქ. ფოთის განვითარების ავტორისეული ხედვა, მოთხრობილია, მისი, როგორც ქალაქისთავის, მის მიერ განხორციელებული პერსპექტიული იდებისა და ინიციატივების შესახებ. აქედან გამომდინარე პირველი სეფე სიტყვა ირმა გუგუშვილმა მისცა რომან მელიას, როგორც წიგნის ავტორს.

„ცოცხლად დამიდგა თვალწინ წლების წინანდელი ამბები, როგორ დაიწყო ყველაფერი, რა გვინდოდა მე და ჩემს თანამოაზრეებს, რა ჩანაფიქრები, მიზნები და ამოცანები გვქონდა, როგორ მომავალს ვწინასწარვმეტყველებდით. რისთვის ჭირდებოდა ახლებურად მოაზროვნე ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება ცივილიზებულ დასავლეთში და რამდენად გამოგვივიდა ჩანაფიქრი. ყველაზე უცნაური ის იყო, თქვა მან, რომ გამიჩნდა განცდა, თითქოს პროცესი ჯერ არ დამთავრებულა, რომ დაკარგული ჯერ კიდევ არაფერია, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე საჯაროდ გამომეტანა ჩემი ნააზრევი, თორემ მხოლოდ წარსულზე დარდს რა აზრი აქვს. დაე, შეხედონ ამ ყოველივეს პოლიტიკოსებმა. სხვადასხვა დარგისა და სფეროს სპეციალისტებმა... შეხედონ და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები - ბრძანა ბატონმა რომან მელიამ.

შემდეგ წამოვიდა მთელი კასკადი ემოციურად დატვირთული მოგონებების, იმ პირველი ნაბიჯებისა, როგორ მიმდინარეობდა ახალი საზოგადოების მშენებლობა.

სიტყვით გამოვიდნენ: **გია დარჯანია**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ხელმძღვანელობდა მოსწავლე-ახალგაზრდების გამგზავრებას უცხოეთში და იქ მათ მოწყობას. მან კარგად წარმოაჩინა კაპიტალისტური წყობის ზნეობრივი ასპექტები;

**ცირა კემულარია** - ჩვენი ქალაქის მკვდრი ნავთობ კორპორაცია „შელის" საერთაშორისო ვაჭრობისა და ტრანსპორტირების შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი დირექტორი, ბრიტანეთის გაზის საპენსიო ფონდის დირექტორი;

**ნუგზარ რუხაძე** - ცნობილი ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ტელეწამყვანი. მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამის ერთ-ერთი საიმედო მხარდამჭერი და გულშემატკივარი.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ამ პროგრამის შემოქმედის, **რომან მელიასთან** ერთად, ცნობილი მეცნიერის **ირაკლი ბოკუჩავას** გამოსვლა.

საინტერესო მოგონებით გამოვიდა, კომპანია „ჯეორენტის" დირექტორი როინ გიგიბერია;

ემოციურად დატვირთული სიტყვა წარმოთქვა წლების მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა, ქალბატონმა ლეილა ხომერიკმა.

ბატონ რომანს ასევე დაგეგმილი ქონდა ექიმების ჯგუფის გაგზავნა უცხოეთში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სამწუხაროდ აღნიშნული პროექტი არ განხორციელებულა სხვადასხვა მიზეზების გამო, რაზეც ისაუბრა ექიმ-ნეონატოლოგმა ქალბატონმა **რუსუდან დიასამიძემ**.

საინტერესო იყო ფოთის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის თავმჯდომარის **ომარ ხუხუნის** გამოსვლა.




ასევე საინტერესო იყო ქ. ფოთის საპატიო მოქალაქის, ქალბატონ **მზია ბახტაძის** გამოსვლა:

პრეზენტაციის დასასრულს შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა მისმა მაღალყოვლადუსაღმვდელოესობამ **მეუფე გრიგოლმა**.

„ადგილი სადაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, ჯერაც რეკონსტრუქციის პროცესშია, მინდა იგი შენების, განახლების, მოქმედების, მოძრაობის სიმბოლოდ მივიჩნიოთ ჩვენი დღევანდელი თავშეყრის მთავარი მიზეზის, წიგნის ავტორის - ბატონი რომან მელიას აქტიური ხვალინდელი დღის სიმბოლოდ. გასაკეთებელი, დასაწერი, საფიქრალი კიდევ ბევრია"... -თქვა მან.

ასე დასრულდა ეს ნამდვილად დროული, საინტერრსო წიგის პრეზენტაცია.

## ქალაქ ფოთში კუნძულის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს;

ქუჩის გასწვრივ, ბულვარზე, ზღვის მხარეს მოეწყო საფეხმავლო ბილიკი და ჯებირს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია;




პროექტი ითვალისწინებს სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღია კომპლექსის მშენებლობას. კერძოდ, მოეწყობა ჩოგბურთის კორტი, მინისაფეხბურთო მოედანი და მცირე ზომის დასასვენებელი სკვერი. კომპლექსის სამივე მხარეს გაკეთდება ღია ავტოსადგომები;

ამ და მსგავსი პროექტებით საშუალება ეძლევა ადგილობრივ ბიზნესს, შექმნან ახალი სივრცეები, მოაწყონ მეტი კომერციული ობიექტი და მიიღონ მეტი შემოსავალი ტურისტებისგან. ინფრასტრუქტურული განახლება და მოწესრიგებული სივრცეები ქალაქს მეტ სიცოცხლეს სძენს .

## რეკომენდაციები COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების ბინაზე მართვის დროს




## კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ფოთში საზოგადოებრივი ტრანსპორტი ყოველდღე მუშავდება სპეციალური სადეზინფექციო ხსნარებით

ყოველი სამუშაო დღის ბოლოს სპეციალურად გადამზადებული თანამშრომლები დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტის მიერ რეკომენდებული სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით ამუშავებენ ავტობუსებს და სამარშუტო ტაქსებს, რათა მომდევნო სამუშაო დღეს ამ სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრების გადაადგილება იყოს უსაფრთხო.

„ მაქსიმალურად ვცდილობთ, მივიღოთ უსაფრთხოების ყველა ზომა და შეძლებისდაგვარად შევაჩეროთ ვირუსის გავრცელება. ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები საზოგადოებრივი თავშეყრის არაერთ ლოკაციაზე. მნიშვნელოვანია, რომ ხელი შევუწყოთ ერთმანეთს და მკაცრად დავიცვათ წესები. საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის დროს ყველა მოთხოვნა მაქ-



სიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული" - განაცხადა გოჩა კურდღელიამ.

მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ვირუსული ინფექციის გავრცელების რისკის შესამცირებლად, მუნიციპალიტეტში სადეზინფექციო სამუშაოები გაგრძელდება.

რეკომენდაციების დაცვის კონტროლს შესაბამისი ორგანოები უზრუნველყოფენ.

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, 9 სხვადასხვა ლოკაციაზე მინი სპორტული მოედნების მოწყობა მიმდინარეობს




მიმდინარე წელს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება 13 მინი სტადიონს, რაც ადგილობრივ მოზარდებსა და ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს კეთილმოწყობილ მოედნებზე გამართონ შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

მინი სტადიონების რეაბილიტაციისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 600 000 ლარი დაიხარჯება.

მსგავსი პროექტების განხორციელება და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება სპორტში ახალგაზრდების მასობრივ ჩართულობას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას უწყობს ხელს.

## ფოთში წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

ფოთში წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის 44 მილიონის ინვესტიცია ხორციელდება, სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

წყალარინების გამწმენდი ნაგებობა, ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, სრულად განახორციელებს ჩამდინარე წყლების წმენდას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს შავი ზღვის აუზისა და ეკოლოგიის დაბინძურების რისკებს რეგიონში.

პროექტის დასრულება მომავალი წლის თებერვალშია დაგეგმილი.



# ბუდა
## (იბერიული ცივილიზაციის კულტურაზე აღმოცენებული ბუდიზმის რელიგია)



ჩემს ნაშრომებში არაერთხელ მაქვს მითითებული იბერიული ცივილიზაციის ზეუნივერსალური კულტურის ღვთაებრივ ღირებულებებზე, საიდანაც ხორცი შეისხეს ძალადობის გზით გაბატონებულმა რასებმა, რომლებიც თავისი განვითარების დონით გაცილებით დაბალ საფეხურზე იდგნენ. თუმცა, კარგად ჰქონდათ გათვითცნობირებული სახელმწიფოს შესანარჩუნებლად და მის გასამყარებლად საჭირო იყო მათზე გაცილებით კულტურის მაღალ საფეხურზე მდგომი იბერიული ცივილიზაციის ზეუნივერსალურ კულტურის მითვისება და მყარად საკუთარზე მორგება, (თითქოს თავად ყოფილიყვნენ ამ კულტურის შემქმნელები). შეძლეს კიდეც გარკვეული ნაწილის მითვისება, რისი მაგალითები მსოფლიო ისტორიაში მრავლად მოიპოვება. მათ შორის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი გახლავთ (ველური წარმონაქმნის) ინდუსების მიერ დიდოეთის დაპყრობა, საიდანაც შემდგომ იწყებს აღმოცენებას ინდუსების რელიგია, მაგრამ ამ რელიგიამ სრულყოფილი ასახვა მაინც ვერ ჰპოვა და დაუბრუნდა თავის პირვანდელ ომის რელიგიას, (როგორც თავად უწოდებენ) მაგრამ სრული ასახვა ჰპოვა კვების კულტურაზე, ვინაიდან მათ რაციონში შედიოდა მხოლოდ უმი საკვები, ნებისმიერი ცხოველის და ფრინველის მათ დიდოელებისაგან, იგივე იბერებისაგან შეითვისეს (შეისწავლეს) ნელსაცხებლების მრავალფეროვნება, მათი ნებისმიერი კერძი დღემდე განსაკუთრებული სიცხარით გამოირჩევა, როგრც სამეგრელოში ტრადიცია, რომელიც ძალიან ჩამოგავს ჩვენსას. კერძოდ, სტუმართმასპინძლობის ინსტიტუტი, რომელიც დიდ ზეიმად ითვლება ყველა მასპინძლის ოჯახისათვის. ოჯახის განსაკუთრებული სისპეტაკე ქორწინების კუთხით, სადაც დღემდე დაცულია ქალიშვილობის ინსტიტუტი. მშენებლობა დღემდე მეგრულ-ლაზურ არქიტექტურულ სტილში ორნამენტიანი აივნით სრულდება და მრავალი სხვა. რაც შეეხება ბუდიზმის რელიგიას, იგი რადიკალურად განსხვავდება ინდუსების რელიგიისაგან.

ბუდა იგივე ბუთჰა სამკრიტის ენაზე სხივმოსილს, განათლებულს, ბრძენს ნიშნავს. ბუდიზმის რელიგია ჩვ.წ.ა. VI საუკუნეში ინდოეთის ჩრდილო - აღმოსავლეთ პროვინციაში აღმოცენდა. აქ შევჩერდები, რადგან ძალზედ მნიშვნელოვანია, (ისტორიული ფაქტის სრულყოფილებისათვის) ყურადღების მიპყრობა დღემდე არსებულ გეოგრაფიულ ინდოეთზე, მის წარსულზე, მის ეტიმოლოგიაზე. რის შესახებ, ჩვენი ერის უმეტესმა ნაწილმა თითქმის არაფერი იცის. მიზეზი მრავალია! მათ შორის ერთ-ერთი თანამედროვე ქართველი მეცნიერების სრული ინდეფერენტულობა საკუთარ წარსულზე. ასევე, დღემდე არსებული ხელისუფალთა განათლების მკვეთრად დაბალი დონე, რაც დიდად დამაზიანებელია ისტორიულ საქართველოს თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. რასაც მოწმობს ჩვენი ქვეყნის რღვევის დაუსრულებელი პროცესი, საამისოდ ხელისუფალთა ოკუპანტი რუსეთისადმი ზომიერ არაგამაღიზიანებელ, როგორც თავად უწოდებენ პოლიტიკის გატარებას, მე კი, ვთვლი, რომ ეს სიმხდალისა და მონური მორჩილების, კოლაბორაციონისტული პოლიტიკაა, რომელსაც ეწევა დღეს არსებული ხელისუფლება. აი, ასეთი სავალალო მდგომარეობა იქმნებოდა ჩვენი ქვეყნის წინარე ხანებში, რასაც მოწმობს უდიდესი იაფეთური სახელმწიფოს დიდოეთის დაცემა, სადაც დასახლებული იყო ჩვენი, წინარე იბერიელი მოდგმის რასსა, რომლის დაკნინების ხანა იწყება ველური გაერთიანების ინდუსების შემოსევის შედეგად! 3001 წლის პირველი ნახევრიდან. რა დროსაც, ინდუსებმა დაპყრობილ დიდოეთს (რაც ძვ. მეგრულ-ლაზური სიტყვიდან მომდინარეობს და ქართულად ნიშნავს ,,დიდი დედას“) ჩამოაშორეს თავსართი დი და მის ადგილზე ჩაანაცვლეს თავის ველური სახელწოდების ,,ინ“ , რის შედეგად ისტორიული დიდოეთი გახდა სახეცვლილი ინდოეთი, რაც დღემდე ამ სახელწოდებით არის ცნობილი. ასეთივე სხვა უმსგავსო მაგალითები დამპყრობელთა მიერ, (სხვადასხვა ეპოქებში) განხორციელებული, იბერიულ ცივილიზაციის წინააღმდეგ, რაც მრავლად მოიპოვება, მაგრამ ის, რაც დამპყრობლებმა ვერ შეძლეს ბოლომდე ამოეშალათ და გაექროთ, გახლავთ უძველესი ტოპონიმები, რომლებიც დღემდე შემორჩენილია, (მათ შორის) დღევანდელი ინდოეთის ტერიტორიაზე, რაც კიდევ ერთხელ ნათლად მოწმობს, იბერიული მოდგმის ხალხთა უტყუარ კვალზე, როგორიც არის ქალაქი აგრა, რომლის ძირი ,,გრ“, რაც ნიშნავს ეგროსის ქალაქს, ,,იპატენ“ ძვ. მეგრული სიტყვიდან გამომდინარეობს და ნიშნავს: ,,ის-ბატონი“ ,, ინდორი“, სადაც დართულია ინდუსების თავსართი ,,ინ“, რომელიც არაფერს გვეუბნება გარდა დამახინჯებისა. სინამდვილეში გახლავთ: ,,დორი“- რაც ძვ. მეგრულ ენაზე დამდგარს, დადგენილს ნიშნავს. ,,ბუნგალურულ“ თავსართი ,,ბუნგ“ ინდუსების წამძღვარებულია მისი ისტორიული სახელწოდება არის ,,ალურულ“, რაც ძვ. მეგრული სიტყვაა და ნიშნავს: ეძინება. არ არის გამორიცხული თავად ტოპონიმი იყოს ,,ალურე“, რაც გვერდშიმდგომს ნიშნავს, რაც მისი ზუსტი დადგენა დღეს უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ მთავარი ის, არის, რომ ორივე პროვინციების სახელწოდება ძვ. მეგრულიდან იღებს სათავეს ,,მანდია“,- იგივე ძვ. მეგრული ,,მადია“ , რაც პირდაპირი თარგმანით მე-დედას ნიშნავს. პროვინცია ,,კინვარ“ რაც ძვ. მეგრულ ენაზე ნიშნავს ,,ისევ არა“, ,,ისევ-არ არის“. ,,მისორე“, რაც ნიშნავს: ,,ვინ სად არის“. და სხვა, რაც შეეხება დიდოეთის ტოპონიმის ეტიმოლოგიას, როგორც უკვე ავღნიშნე, მომდინარეობს ძვ. მეგრულ - ლაზური ენიდან და ნიშნავს: ,,იქ“, ადგილს, ტერიტორიას, მიუთითებს კონკრეტულ ადგილს (რომელიც დიდი ხნის უკან დავკარგეთ), ხოლო მის შესახებ დღემდე შემორჩენილ ძვ. მეგრულ ბალადაში ,,დიდავოი ნანაში“ ვხვდებით, რომელიც გახლავთ რეალური ისტორიის შინაარსის მქონე, რაც ჩონგურთან მიმართებაში შემდეგი სიტყვებით გამოიხატა: ,,ასე ჩონგურ ქოვთქუათუ“, ,,სქან დო ჩქიმი გაჭირება“, ,, ჩონგურ სი მუ შეგილებუ, ვენგადვინე განჩინება“. ,,დიდავო ნანა“ ... ,,დიდავოი ნანა, დიდოვოი ნანინა“... ეს ტკივილითა და უშრეტი ცრემლით ახსავსე სიმღერაა, (დღემდე შემორჩენილი) გვაუწყებს დაკარგულ სამშობლოზე-დიდოეთზე, რაც ჩონგურზე აკვნესებული შემორჩა მხოლოდ! რომელსაც მწუხრით აღსავსე, ჟღერადობის გარდა არაფერი შეუძლია - განჩინების დადებაც! რაც სამუდამოდ დასრულებულს, მაგრამ გულში დაუსრულებელ მარადიულ ტკივილს ნიშნავს, რომელიც მხოლოდ ჩონგურს შემორჩა, რაც ასევენჩონჩხად დარჩენილ (ერთადერთ) გულს ნიშნავს. ასეთია ჩვენი წინაპრების ტრაგიკული ისტორია, რომელსაც არც აწმყო წყალობს და ის ისეა მივიწყებული და ნაცარმიყრილი, რომ მას თაობები, კარგახანია, ვერ ხედავდნენ, მცირედის გამოკლებით, რომლის ხმა დღემდე რჩება უდაბნოსა შინა! ვაგრძელებ...

ძვ. წ.VI ს. ინდოეთის პროვინციაში, სადაც აღმოცენდა ბუდიზმის რელიგია, რაც ერთ-ერთი თავადის შუთხადანის ვაჟს სითჰართჰას უკავშირდება, რომელიც ამბობდა, რომ მანამდე 24 ბუდა არსებობდა, ისინი ეთაყვანებოდნენ აქრეტიპულ ღვთაება მითრას, რომელიც ინტერპრეტირებულია, როგორც სპარსების პირველი ღვთაება ,,რა“, ასევე ინდუსებს ,,მითრა“. რაც სანკრიტიულ ენაზე შინაარსობრივი განმარტების გარდა ვერ იძლევა სიტყვათა მნიშვნელობის განმარტებას, ვინაიდან სპარსული არქეტიპული ღვთაება ,,რა“ და ინდუსების არქეტიპული ღვთაება ,,მითრა“, ასოთა ცვლილებების შედეგად, ვერც თავიანთ ენაზე იძლევა არსებით განმარტებას, რასაც თავისუფლად განმარტავს მისი მშობლიური ძველ მეგრულ-ლაზური ენა, რომლის სრულყოფილი სახელია არა სპარსული ,,რა“, არამედ ძველ მეგრულ-ლაზური ,,რე“! რაც ნიშნავს: ,,არის“ მუდამყოფელს, მარადმყოფს, რომელიც მუდამ არის - ღმერთს. ასევეა ,,მითრა“, რომელიც ინდუსების მიერ სახეცვლილი პირველი არქეტიპული ღვთაება ,,მითრე“ არის, რაც მარადმყოფს, მარადიულ სუბსტანციას ღმერთს ნიშნავს: ,,მით-რე“ ,,ვინც-არის“, რომელიც მუდამ არის! როდესაც ხდება აღნიშვნა: ძველ მეგრული“, ეს არის შერწყმული ძველ ლაზებთან. დღევანდელი მეგრული კი შერწყმულია თანამედროვე ქართულთან, ლაზური კი თურქულთან.

ბუდიზმის ორი მიმართულებაა: 1. მაჰაიანა, რაც იაფეტურისგან იღებს სათავეს, და იგი ასე განიმარტება: ,,მა“-მე; ,,ჰა“- დიდი; ,,აია“ -ქვეყანა; ,,ნანა“-დედა, საუბარია დედაქალღმერთზე. რაც მიუთითებს დიდი დედის, აიას ქვეყანაზე, რომელიც გახლავთ დიდოეთი.რაც შეეხება ფართო გზას, ეს არის უზარმაზარი მოცულობის, ზეუნივერსალური ცოდნის ფართო გზა, ანუ მსოფლიურზე დიდი, საუბარია ადამიანის გონისთვის დღემდე უცნობ ღვთაებრივ გზაზე, რომელიც მხოლოდ სამოთხეში ჰქონდათ ადამს და ევას. 2. ჰინაინანა - ვიწრო გზა, რომელიც სათავეს იღებს ასევე იაფეთისაგან. ,,ჰი“, რაც ვიწროს ნიშნავს; ,,აი“ პირველს, საწყის; ,,ნანა“-დედას, საუბარია კაცობრიობის დიდი გზიდან, ანუ ღვთაებრივი გზიდან (ჩადენილი ცოდვის გამო) გადაყვანა, შეზღუდვა მისთვის რთულ ეკლიან გზაზე, რომელიც არის ტანჯვითა და წამებით გასავლელი, რომელსაც ადამიანი გაჰყავს ფართო გზაზე, ანუ დიდ მთავარ გზაზე, რაც შვების, იგივე სამოთხის გზაზე მდგომს ნიშნავს. დღეს კი, ძნელი გახდა კაცობრიობისათვის ვიწრო გზაზე სვლა და მან, არა ღვთაებრივი, არამედ მიწიერი ფართო გზა აირჩია, რომელსაც არა აღდგომისაკენ, არამედ დაღუპვისაკენ მიჰყავს კაცთა მოდგმა.

ბუდისტური მოძღვრება დაყოფილია სამ ნაწილად: ეთიკა, მეტაფიზიკა და საკულტე მიმდინარეობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით მინდა გითხრათ: ეთიკა, ძვ. კოლხი ქურუმების, წმ. ბერების მორალისა და ზნეობის ფილოსოფიური მოძღვრება იყო, რომელიც ზუსტ საბუნებისმეტყველო მეცნიერებასთან ერთად, როგორიც გახლდათ მეტაფიზიკა და საკულტე მიმდინარეობა, ისწავლებოდა ფაზისის აკადემიაში.

ბუდას დაბადება: ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციაში კაპილავასტროში ბატონობდა დიდი თავადი შუთხუდანი, რომელსაც ყავდა ცოლი მაია. რაც ძვ. ენიდან მომდინარეობს და ასე განიმარტება: ,,მე-ია“, რაც პირველ ყვავილს ნიშნავს, ანუ ყველაფერს პირველს, რაც უკავშირდება საწყისს, პირველადი კულტურისას, რომელსაც წარმოადგენდა დიდი თავადის შუთხოდანის მეუღლე-მაია. რომელიც იბერიული წარმოშობის იყო. ისინი გამუდმებით ევედრებოდნენ ღმერთს მითრეს! (ვინც არის) რომ შვილი ყოლოდათ . შვილის გაჩენისას ადგილობრივები ფიქრობდნენ, რომ წმინდა სული ახალშობილზე თეთრი სპილოდან გადავიდა, ამიტომ ინდოელები სპილოს დიდ პატივს მიაგებენ.

ბავშვის დაბადებას დიდი ცვლილებები მოჰყვა: ამჟამად მზე დაბნელდა, მიწა შეიძრა. ეს იყო უწყება, ის ვისაც ელოდა მთელი ქვეყანა. ანალოგიური ოღონდ საპირისპირო მოხდა ქრისტეს შობას. აქ ვარსკვლავი გამობრწყინდა და დაადგა ქვეყნიერებას, რაც მომავლის იმედის მაუწყებელია, მხსნელი კაცობრიობის. მზის დაბნელება, მიწისძრვრა, ბუდას დაბადებას ნიშნავს. იმას, რომ მისი მოძღვრება ვერ გახდებოდა კაცობრიობის ხსნის მოძღვრებად, რადგან ის არ იყო მესია! ვისაც ელოდა კაცობრიობა. თუმც, არც თვითონ აცხადებდა საკუთარ თავზე, არამედ წინასწარმეტყველებდა მის შემდგომ ბოლო ბუდაზე. ბუდამ სრულყოფილებას 30 წლის ასაკში მიაღწია, როგორ ჰგავს მიწიერ მოღვაწეობას (რომელიც 30წლის ასაკში წარსდგა საზოგადოების წინაშე (პირველად ქრისტეს 5 და 12 წლის ასაკში ეცხადება ხალხს). შუთხადანმა, როდესაც შეიტყო შვილის ასკეტური ცხოვრების შესახებ, გადაწყვიტა, წინ აღდგომოდა შვილის ნებას. ააშენა სამი სასახლე-გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის, რომელსაც 80 კმ. რადიუსის გალავანი შემოარტყა და შიგ პირმომცინარე ახალგაზრდები შეიყვანა-ედემს გაუთანაბრა. სითხჰართჰამ შერთო ცოლი, რომლისგან ეყოლა ვაჟი-რაგული, რა დროსაც მან წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: ,,დაიბადა რაგული და მასთან ერთად ბორკილები“. იწყება მსოფლიო კაცობრიობის ჩაძირვა ინდოევროპული მოდგმის ,,ცნობიერების წუმპეში, რაც ღვთისაგან უკანასკნელ ჟამამდე განდგომას ნიშნავდა.

სითხართჰამ, ერთხელ, როდესაც მცველებს ჩაეძინათ, გადავიდა გალავანს იქეთ და მის თვალწინ სულ სხვა, მისთვის უცხო სამყარო გადაიშალა, მან ნახა თეთრწვერა მოხუცები, მშიერ-მწყურვალი ქალები, გაოცებულმა იკითხა ნანახის შესახებ, მას, როდესაც აუხსნეს, რომ ისიც მოხუცდებოდა და გარდაიცვლებოდა, მან ასევე იკითხა თუ ვინ შექმნა ასეთი კანონზომიერება. ერთ-ერთმა ბერმა, ყვითელ ტანისამოსში უთხრა მას, რომ იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ცდილობდა ამის ამოხსნას, მაგრამ ამაოდ! ბუდა მიხვდა, რაც მამის მიერ შემოვლებულ გალავანს შიგნით ხდებოდა იყო მაია, რაც სინკრეტულ ენაზე ილუზიას ნიშავს. მინდა გითხრათ, რომ მაიას სინკრეტულ ენაზე სრულყოფილ განმარტებას ვერ იძლევა, მაია გახლავთ ძვ. მეგრული სახელწოდება და ნიშნავს ,,მა-ია“, მე პირველი, რაც პირდაპირ მიუთითებს პირველად კულტურაზე, რომელიც არის გასხივოსნებული, ღვთაებრივი სიბრძნით, რომელიც ასევე ასოცირდება, (მიწიერ ასპექტში) პირველ ყვავილთან იასთან.

სითხართჰამ ყვითელი ტანსაცმელი ჩაიცვა და ურულელის ტყეში დაჯდა და ღმერთებს თხოვნით მიმართა, თუ რაში მდგომარეობს ქვეყნის საიდუმლოება, მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ურულელის ტყეს, მის ეტიმოლოგიას, თუ რომელი ენა განმარტავს ,,ურულელს. ,,ურულ-ელ“ ძველი მეგრული სიტყვაა და ნიშნავს ,,ურულ“, ,,ურულუ“ გაგქცევას, განმარტოებულს ყველას თვალთაგან; ,,ულ-არამეგრულ ენაზე მამაღმერთს. სითხართჰა გაიქცა, განმარტოვდა მამა ღმერთთან შსახვედრად, როგორც ქრისტე უდაბნოში, მოსე სინას მთაზე, ურულელის ტყე, ოდითგან წმ. ბერთა განმარტოების ადგილი. სითხართჰამ ურულელის ტყეში ყოველგვარ წყლისა და საკვების გარეშე 30 დღე გაატარა, (ქრისტეს 40– ამის შმდეგ მას ჩაესმა ხმა, რომ იგი სრულყოფილებას ამით ვერ მიაღწევდა. მან მედიტაციით საკუთარ თავში ჩაღრმავება დაიწყო. სწორედ ეს გახდა ბუდიზმის მთავარი დანიშნულება. ბუდას ქანდაკების დახრილი თვალებიც მიუთითებს საკუთარ თავში ჩაღრმავებას.

ბუდამ 4 ჭეშმარიტება იქადაგა: ქვეყანა ტანჯვაა, რადგან სიცოცხლეს საბოლოოდ სიკვდილი ცვლის, ტანჯვის მიზეზი ჩვენი სურვილებია“. რაც მნიშვნელოვნად ჩამოჰგავს ქრისტიანულ რელიგიას, სადაც ერთ-ერთ ცოდვად ითვლება გემოთმოყვარეობა, რაც გათანაბრებულია სურვილთან, რომელიც არის ტანჯვის მიზეზი. ტანჯვა თუ გინდა, რომ მოსპო, სურვილები უნდა ჩაკლა მედიტაციაში ჩაძირვით, გემოთმოყვარეობა თუ გინდა განაგდო, შესაძლებელია, მხოლოდ ჭეშმარიტი მარხვით.

მეორე ჭეშმარიტება, ეს არის გზა შემეცნებისაკენ, რომელიც აზროვნების განწმენდის ნებისყოფის გასუფთავებას ეხმარება. ამ საფეხურის გავლის შემდეგ ადამიანს აღარ აქვს მანკიერი აზრები და სურვილები.

ქრისტემ ადამიანის სულის დამღუპველ მანკიერებას 10 მცნება დაუპირისპირა.

ბუდისტების რელიგია მკვეთრად განსხვავდება ინდუსების რელიგიისაგან, ბუდას რელიგია კრძალავდა მიცვალებულის ცეცხლზე დაწვას, როგორც ინდუსები, რომლებიც დღემდეც გარდაცვლილის ცეცხლზე დაწვის რიტუალს ატარებენ. ბუდა კი გაემიჯნა ყოველივე ამას და ჩათვალა საჭიროდ, როგორც ძვ. კოლხები, რომ გარდაცვლილი ხეზე შემოედოთ, ვინაიდან გვამს არაფრად თვლიდა. მთავარი მისთვის იყო სული. სითხართჰამ სახელი შეიცვალა და ბუდა დაირქვა, რომელიც გახდა ბუდიზმის ფუძემდებელი. მან ყველას გასაგონად ხმამაღლა განაცხადა: ,,მე, 25 ბუდა ვარ, მაგრამ ჩემს შემდეგ ბოლო ბუდა მოვა, რომელიც ჩემზე გაცილებით გასხივოსნებულია და მას ბუდა - მაი-ტრეა ერქმევა ,,, მას კონკრეტული დროის შესახებ არაფერი უთქვამს. ბუდა- მაია -ტრეა, რაც ქართულად გასხივოსნებულს ნიშნავს, რომელიც მუდამ არის! ღმერთი.

როდესაც ბუდას ჰკითხეს ღმერთის არსებობის შესახებ, მან აღიარა ღვთის არსებობა, მაგრამ ის ადამიანის ცხოვრების ხსნას საკუთარ თავში ხედავდა. დანარჩენ ცოდნას ფუჭად მიიჩნევდა, ამიტომ, ბუდიზმს, ღმერთების გარეშე რელიგიას უწოდებენ. იგი ამბობდა: ,,ღმერთები თავისთვის არიან, ჩვენ ჩენთვის ვართ“. აქ კი, ბუდა მეტ ყურადღებას უთმობს მედიტაციას და ამით ფიქრობდა აბსოლიტურ სრულყოფილების მიღწევას. ამით ის ძალიან მაღალ საფეხურზე ავიდა, მაგრამ ბოლომდე ვერ ჩაწვდა ღვთის საიდუმლოებას. მაგრამ, მან, ქრისტესშობამდე 500 წლით ადრე იწინასწარმეტყველა მომავალი ბუდას, (გასხივოსნებულის) ცის მეუფის ამ ქვეყნად მოვლინების შესახებ.

საინტერესოა ბუდას ცხოვრების წესის შესახებ ცნობა: ბუდა ამბობდა: ,,ბუდისტს არ უნდა ყავდეს ცოლშვილი, იგი ტანჯვისაგან უნდა განთავისუფლდეს, ბუდისტს უნდა ქონდეს ერთი ხელი ტანსაცმელი, სამათხოვრო ქოთანი და საცერი წყლის დასალევად. ასევე ბუდისტს არ უნდა გააჩნდეს ფული“. (როგორ არსებითად გავს თავისი ცხოვრების წესით ქრისტესა და ბუდას, დღევანდელი სამღვდელოება?...

ბუდიზმში თავდაპირველად არ აღიარებდნენ ქალებს, რადგან თვლიდნენ, როგორც სავსეა ტყე შეშით, ისე სავსეა ქალი ცოდვებით.

არსებობს თქმულება, როცა ბუდა დაიბადა, დედამისი მაია გარდაიცვალა და იგი დეიდამ მაჰაბრატარატმა აღზარდა. როცა ბუდამ სრულყოფილებას მიაღწია, დეიდა მეგობრებთან ერთდ მივიდა მასთან მთებში და თავის წრეში მიღება სთხოვა. ბუდამ მიიღო ისინი და თქვა: ,, დღემდე ჩვენი მოძღვრება გაგრძელდება ათას წელიწადს, ამიერიდან კი, იგი მხოლოდ 500 წელიწადს გაძლებსო. მინიშნება ქალწულისაგან მხსნელის შობაზე.

ბუდა ღორის ხორცზე დაპატიჟეს, რაზეც უარი ვერ თქვა-ჭამა, მოიწამლა და 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. როცა კვდებოდა მან თქვა: ,,ნუ ტირით მე არ ვკვდები, არამედ ნირვანაში მივდივარ“.

ბუდისტურმა რელიგიამ საბოლოოდ ვერ დაიმკვიდრა ადგილი ინდოეთში, ვინაიდან არ იყო მებრძოლი რელიგია, რადგან ვერ შეძლო გამკლავებოდა მუსულმანთა შემოსევებს, ხალხი მიუბრუნდა თავის ძველ რელიგიას, ინდუიზმს და ამით დაუპირისპირდნენ თავის მტრებს“. - მარინე დგებუაძე.

მინდა გითხრათ, რომ ბუდისტური რელიგია არ იყო მიწიერი რელიგია. ვინაიდან მისი მთავარი დანიშნულება იყო სრულად მოწყვეტა მედიტაციის გზით მიწიერს და წვდომა ზეუნივერსალური გონისა, რაც ასევე მიუწვდომელი გახდა ბუდისტებისთვის. რაც შეეხება ინდუსების რელიგიას დაუნდობელი ბრძოლა რელიგიის სახელით, როგორც წარსულში სისხლით მოპოვებული დაპყრობითი ომების შედეგად მიღწეული გამარჯვებისა, ასევე დღესაც, დაუნდობელი არშეწყალების გზით თავის ,,სამშობლოს“ ბოლომდე დაცვა, რაც ასე ძლიერ, დღემდე ბატონობს ინდოსტანში (ინდოეთში).

არსებობს ასეთი მოსაზრებაც, სანამ ქრისტე შევიდოდა იერუსალიმში საქადაგებლად, იგი, ყურადღებით გაეცნო ბუდისტურ ფილოსოფიას, მაგრამ ეს მხოლოდ მოსაზრებაა...

მშვიდობას და იბერიის გასხივოსნებას გისურვებთ მართლმადიდებელნო!

პატივისცემით,

ნიკოლოზ იბერი
21. მაისი, ფუთი

## ნაჯო თოდუა
## ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი



### ვირზე ნამყენი!

ის რაც ხდება შენს თვალწინ,
უზნეობა საწყენია,
კაცს ხედავ და არა კაცობს,
კაცი ვირზე ნამყენია!
ამ ქვეყანას სულ გიგინებს,
სიამოვნებს, არ წყენია,
გამრაზდე და შეედავო,
გაიკვირვებს რა წყენია?!

### მორსხე

მორსხე ირდიხასი ორე,
მცავარიე გორუა!
იმენდ დღასი ვადინუა,
მიში ვემიმორუა!

### არავის ელოდება

ვინც არავის ელოდება!
ვის არავინ ელოდება!
გაახარე და ესტუმრე,
როცა სულ არ გელოდება!

### შეცდომები

წარსულის შეცდომებზე,
ვინც არ სწავლობს მინდია,
ვინც ანალიზს არ აკეთებს
და არააქვს რიდია,
მისი დასჯის მოლოდინის
ალბათობა დიდია.

### სიმართლე

ჩემს სიმართლეს თუ კი ხედავ
აქ კი დაცვა გულით გინდა,
შენ თუ უკან არ იხევი,
ზნეობა გაქვს მაშინ წმინდა.

### გენი

არ დამაჭრა ყურზე ხახვი,
მე როდესაც მართალი ვარ,
არ იფიქრო გემუქრები,
ან მე შენზე გამწყრალი ვარ,
რა ვქნა წინაპართა გენი
სულ გენთობს და ამაყი ვარ

## ფოთში ვეტერანის დღე აღინიშნა
## შრომითა და ბრძოლით გზაგავლილთა პატივებისა და დაფასების დღე



ცხოვრების ქარტეხილგამოვლილი ადამიანები ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილები, განსაკუთრებულ ყურადღებას, სითბოსა და დაფასებას იმსახურებენ. თითოეულის უკან დიდი გადასახედია კაცურად განვლილი გზისა.

მათი გმირობის მაგალითები, სტიმულს აძლევენ თაობებს იცხოვრონ ქრისტიანული რწმენით და ყოველთვის იყვნენ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში. სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილი სოციალური-პოლიტიკური ვითარების გამო, ისინი უყურადღებოდ რჩებიან, ასეთ დროს აუცილებელია მათი მორალური მხარდაჭერა - საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა. ამ მიმართულებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის,ფოთის საქალაქო კავშირის თავმჯდომარე საქართველოს კაზაკთა კავშირის გენერალ მაიორი ბატონი **პაატა გეგენავა**.

ვეტერანის დღეს ფოთის საკათედრო ტაძარში შეიკრიბნენ და პატივი მიაგეს გარდაცვლილ თანამებრძოლთა ხსოვნას ,გაიმართა მათი სულების მოსახსენიებელი პარაკლისი,გულწრფელი ლოცვა არის გზა უფალთან მიახლოებისა.

ზეიმის მონაწილეებმა გვირგვინით შეამკეს შინმოუსვლელთა მემორიალი,სადაც მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ფოთელის ეპიტაია ქვაში სამუდამოდაა ჩაკირული. მათ ასევე პატივი მიაგეს 2008წელს უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული ახალგაზრდების ხსოვნას.

ომის ვეტერანები ამშვენებენ ჩვენს ქალაქს-ბევრი მათგანი აფხაზეთის ომის მონაწილეა,ზოგიც სამაჩაბლოში იბრძოდა,ცოტანი დარჩნენ მეორე მსოფლიო ომში მონაწილეებთან გათანაბრებულები.

მათ გვერდით არიან შრომის ვეტერანები, პედაგოგები, ექიმები,ხელოვანები,რომლებიც კვლავაც მზად არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დაეხმარონ ახალგაზრდებს - ძველისა და ახლის ფენომენის შერწყმით არის შესაძლებელი საერთო საქმის წინსვლა, რამეთუ ცხოივრებისეული გამოცდილება დიდი რესურსია.

ვულოცავთ ვეტერანებს ამ დღესასწაულს. კვლავ დიდხანს იყვნენ ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ.

## დაბადების დღის მილოცვა ჩვენი ქალაქის სახელოვან დასტაქარს, ძვირფას კოლეგას, ბატონ გოგი მელიქიას



ბატონო გოგი, თქვენ თამამად შეგიძლიათ თქვათ,,წლები ჩემი სიმდიდრეაო,,ეს იყო თავდაუზოგავი შრომისა და წარმატების წლები სამედიცინო სფეროში,ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენისათვის ბრძოლაში, ვინ მოსთვლის რამდენი ადამიანის სიცოცხლე გიხსნიათ სიკვდილის კლანჭებისგან, სრულიად უიმედო და განწირული ამ ქვეყნისკენ მოგიბრუნებიათ. ამიტომაც უყვარხართ ფოთელებს, და არა მარტო, თქვენგან განკურნებულ ადამიანებს ჩვენი დიდი რეგიონიდან.

კარგად გვახსოვს თქვენი პირველი ნაბიჯები ქირურგიულ ასპარეზზე,დღემდე სიამაყით იხსენებთ დიდი დასტაქრთან **მამია ჩხეიძესთან** გატარებულ წლებს. მისი საექიმო გაკვეთილები, გამოცდილება გმატებდათ ღირსებას - პიროვნულსა და საზოგადოებრივს,რაც კვლავაც რჩება ორიენტირად მიუხედავად დროის ფაქტორისა, რომელიც თქვენს ღვაწლს ვერაფერს დააკლებს.

დღესაც მშობლიური ქალაქის ცხოვრებით ცხოვრობთ,მიუხედავად იმისა რომ დედაქალაქში მოღვაწეობთ.უამრავი ჯილდო ამშვენებს თქვენს პიროვნებას,თუმცა ყველაზე ძვირფასი ფოთის საპატიო მოქალაქეობაა.

თუ თვალს გადავავლებთ თქვენს ბიოგრაფიას, თვალში საცემია ხელმძღვანელ თანამდებობებზე ყოფნა - ქალაქის პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, ქალაქის საავადმყოფოს მთავარი ექიმი. მთავარი ქირურგი.

გისურვებთ წელთა სიმრავლეს... დიდხანს გეთქვათ პოეტის სიტყვები- ,,ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე",,.

მარინა ხოფერია

## მილოცვა ქალბატონ ნინო ჭანტურიას



ქალბატონო ნინო 31 ოქტომბერი თქვენი დაბადების დღეა,ამ დღეს ყოველთვის სიხარულით ავღნიშნავდით თქვენი მეგობრები,ახლობლები,რამეთუ თქვენი მოვლენა ამ ქვეყანაზე ყველა ჩვენგანისთვის დიდი ბედნიერებაა. ამ დღეს სხვა ელფერი ჰქონდა როცა ბატონი გიზო ხარჩილავა თქვენი ცხოვრების დიდი მეგზური,ოჯახის მეთაური, ღირსეულად აღნიშნავდა ამ დიდებულ დღეს.

ძალიან გვინდა ისევ მხნედ იყოთ, გააგრძელოთ ცხოვრება ისე როგორც ბატონ გიზოს გაუხარდებოდა.

თქვენ, როგორც ბავშვთა საავადმყოფოს მთავარ ექიმსა და ქველმოქმედს,კიდევ ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელი,მომავალი თაობის ჯანმრთელობის უკვდავსაყოფად.

გისურვებთ დღეგრძელობას, წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მეგობრები

## მილოცვა ქალბატონ ვენერა ნასარაიას



ჩემო საყვარელო ვენერა, გულითადად გილოცავთ დაბადების 85 წლის თავს. თქვენ ბრძანდებით უაღესად კეთილშობილი, სტუმართ მოყვარე, საზოგადოებაში დაფასებული ქალბატონი. კარგი შვილების დედა.

მიუხედავად დიდი ტკივილისა, არ გატეხილხართ.

გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას. დაესწარით კიდევ მრავალ დაბადების დღეს თქვენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

ნანი მიმინოშვილი

# სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი...

## 16 წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატში ფოთელმა მოჭადრაკეებმა 2 ოქროს მედალი მოიპოვეს



ფოთის საჭადრაკო სკოლის წარმომადგენელთა: დიანა ლომაიას და აკაკი ყალიჩავას გამარჯვებით დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის!

აღსანიშნავია, რომ ორივე გამარჯვებული გოჩა ჩაჩუას მოსწავლეები არიან.

მეორე საპრიზო ადგილზე გასული ლუკა კილაძე მთელი ტურნირის განმავლობაში ლიდერობდა და მხოლოდ ბოლო ტურში განცდილი მარცხით დაკარგა ჩემპიონობა.

ასევე, დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ანასტასია კირთაძის მეორე ადგილი.

ორივე ვერცხლის პრიზიორი მხოლოდ 11 წლისაა და უფროსს მეტოქეებს თავი აშკარად არ დააჩაგრინეს

ტექნიკური შედეგები:



გოგონები:

I ადგილი - დიანა ლომაია (ფოთი; მწვრთნელი გოჩა ჩაჩუა) – 8 ქულა

II ადგილი - ანასტასია კირთაძე (ქუთაისი; მწვრთნელი ნიკოლოზ მანაგაძე) – 7,5 ქულა

III ადგილი - დეა ბედოშვილი (ბათუმი; მწვრთნელი ლეონიდ ნეურონოვი) – 6,5 ქულა

ჭაბუკები:

I ადგილი - აკაკი ყალიჩავა (ფოთი; მწვრთნელი გოჩა ჩაჩუა) - 7 ქულა

II ადგილი - ლუკა კილაძე (თბილისი;მწვრთნელი დავით ზარქუა) – 6,5 ქულა

III ადგილი - ჯაბა ადამია (ბაღდათი; მწვრთნელი რამაზ ენდელაძე) – 6,5 ქულა

№ითამაშეჭადრაკი

## მოვემზადოთ ასეთი სცენარისთვისაც!.. ანუ რა უნდა გვახსოვდეს მაკედონიასთან მატჩამდე?



12 ნოემბერს საქართველოს ნაკრებს, არსებობის 30-წლიან ისტორიაში, ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა ელის. ვლადიმირ ვაისის გაწვრთნილი გუნდი საშინაო შეხვედრაში ჩრდილოეთ მაკედონიის ნაკრებს დაუპირისპირდება და სწორედ ეს თამაში გაარკვევს, რომელი მათგანი გაემგზავრება ევროპის ჩემპიონატზე...

გადამწყვეტ მატჩამდე ბევრი დრო აღარ რჩება. ვფიქრობთ, ნამდვილად დროა, ჩვენი მხრიდან ერთი რიგითი წერილი შევაშველოთ ამ საშვილიშვილო საქმეს. როგორ უნდა მივიდეთ ჩრდილოეთ მაკედონიასთან მატჩამდე და რა უნდა იყოს ამ ომში ჩვენი პრიორიტეტები - სწორედ ამ თემას ეძღვნება ეს წერილი...

### *ქარიშხალი ჭიქაში, ანუ ვაისი უნდა დარჩეს!*

ორიოდე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ვლადიმირ ვაისის სამსახურით სლოვაკეთის ფეხბურთის ფედერაციაა დაინტერესებული.

სლოვაკების სურვილი, რომელიც ერთ-ერთმა იქაურმა საინფორმაციო საშუალებამ გაავრცელა, გასაკვირი ნამდვილად არ არის. ვაისი სლოვაკთათვის გამორჩეული მწვრთნელია. მან თავის დროზე ამ ქვეყნის საფეხბურთო ისტორია დაწერა, როცა ნაკრები ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა, მერე კი თვით იტალიის ნაკრები ჩატოვა ჯგუფში. იქაც დიდი ამბები დაატრიალა.

თვითონ იმ სლოვაკურმა საინფორმაციო საშუალებამ, რომელმაც ეს ცნობა გაავრცელა, ვაისის დანიშვნის ალბათობას საკმაოდ დაბალი პროცენტი მიანიჭა. ჩვენი წყაროებით ვიცით, რომ სლოვაკი მწვრთნელი საქართველოს ნაკრებში რჩება.

ვაისი არაერთხელ გაგვიკრიტიკებია და ამ ბოლო სანაკრებო შეხვედრების შემდეგაც ვისროლეთ კენჭები მის ბოსტანში, მაგრამ ახლა ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს. დღეს მისი წასვლა გამორიცხულია და ეს ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა საქართველოს ნაკრებისთვის. წარმოიდგინეთ, როგორ გაუჭირდებოდა ახალ მწვრთნელს გადამწყვეტი შეხვედრის წინ ვითარებაში გარკვევა...

არც ახლა გვინდა ზედმეტი წნეხი!

ბელარუსის ნაკრებთან მატჩამდე ძალიან ხშირად ვწერდით ამის თაობაზე და ისე მოხდა, რომ ჩვენი სურვილი, ასე თუ ისე, შესრულდა. ახლაც უნდა დავწეროთ: როგორმე ისე უნდა მივიდეთ ჩრდილოეთ მაკედონიასთან მატჩამდე, რომ ფეხბურთელებმა, რაც შეიძლება, ნაკლები წნეხი იგრძნონ საკუთარ თავზე.

გვახსოვს, წლების წინ საქართველოს ნაკრებმა თბილისში რუმინეთთან ითამაშა. ის შეხვედრა რომ მოგვეგო, ძალიან დიდ შანსს ვიტოვებდით, რომ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად გავსულიყავით დიდ საფეხბურთო ფორუმზე, მაგრამ...

მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო - თბილისურ მატჩში ნაკრებმა ფეხი ვერ გაანძრია, პრაქტიკულად, ვერაფერი გვიჩვენა და 0:2 წააგო. ამ თამაშის რამდენიმე მონაწილესთან მილაპარაკია და ახსნა ძირითადად ასეთი ყოფილა - ძალიან დიდი წნეხის ქვეშ მოვექეცით, ვერ გავუძელით და ამან ჩვენს თამაშზე სერიოზულად იმოქმედაო...

თქმა რად უნდა, თუ დიდი პროფესიონალი ხარ, ნებისმიერი სიმძლავრის წნეხს უნდა გაუძლო. ეს აქსიომაა. ყოველდღიურად უდიდეს წნეხს უძლებენ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები. წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდია ეს წნეხი მესიზე, რონალდოზე, მბაპეზე, სალაჰზე...

ეს გასაგებია, მაგრამ ჩვენ საკითხს ასე შევხედოთ: ამ დროისთვის საქართველოს ნაკრებში არ თამაშობს არცერთი ვარსკვლავი, რომ მიჩვეული იყოს ასეთ რამეებს და ვერც იმაზე დავდებთ თავს, რომ ჩვენი ეროვნული გუნდის ყველა ფეხბურთელი (ზოგიერთებს ნამდვილად არ ეხებათ!) ნამდვილი პროფესიონალია.

ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ის, რაც ზემოთ დავწერეთ და, იმედია, ყველა გაითვალისწინებს ამას. მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც. ისე უნდა ვქნათ, რომ მკაცრად დავიცვათ “ოქროს შუალედი”.

### *მოვემზადოთ ასეთი სცენარისთვისაც...*

არ მინდა, წინასწარ გავაკეთო ცუდი პროგნოზი, მაგრამ მოვემზადოთ ასეთი სცენარისთვისაც - საქმეს ისეთი პირი უჩანს, ჩრდილოეთ მაკედონიასთან შეხვედრაშიც უმაყურებლოდ მოგვიწევს ფონს გასვლა. ასეთ შემთხვევაში საქართველოს ნაკრებს ტრიბუნებიდან ისევ მხოლოდ ჟურნალისტები ვუქომაგებთ.

რა თქმა უნდა, როცა ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა ასე გართულებულია, ძალიან რთულია, ვინმეს მოუწოდო ქუჩაში შეკრებებისკენ, მაგრამ ბელარუსთან მატჩამდე სტადიონზე ორი საათით ადრე მივედი და ვნახე, როგორ დახვდნენ ქართველი გულშემატკივრები ეროვნულ გუნდს.

თუ სტადიონის წინ ქომაგი ვერ შეიკრიბება, იქნებ ის მაინც მოხერხდეს, რომ გულშემატკივართა მცირე ნაწილი დახვდეს ისე საქართველოს ნაკრებს, როგორც ეს მოხდა ბელარუსთან შეხვედრის წინ. ეს დიდ ეფექტთან ერთად ჩვენი ფეხბურთელებისთვის დიდზე დიდი ემოციური მუხტიც იყო...

### *ჩაკვეტაძე, ხოჭოლავა, ზივზივაძე...*

საქართველოს ნაკრებმა ბოლო სამი მატჩის შემდეგ უნდა მოუმატოს და, დიდი ალბათობით, მოუმატებს კიდეც. რა გვაძლევს ამის დაწერის საშუალებას? ის, რომ გიორგი ჩაკვეტაძე ჯანმრთელად უნდა იყოს მაკედონიელებთან მატჩისთვის.

რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრებისთვის დიდი ძალა უნდა იყოს დავით ხოჭოლავა, რომელმაც შესანიშნავად ითამაშა “შახტარის” შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაზე მადრიდის “რეალის” წინააღმდეგ.

ვნახოთ, იქნებ ვლადიმირ ვაისმა ტრადიცია დაარღვიოს და ნაკრებში უხმოს ბუდუ ზივზივაძეს. ფაქტია, ცენტრალური ფორვარდის პოზიციაზე გვჭირდება უფრო მეტი კონკურენცია, ვიდრე გვაქვს დღეს.

არ გვგონია, მაკედონიელებთან გადამწყვეტი შეხვედრის წინ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნაკრებში ახალი სახეები მიიწვიოს, თუმცა ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ვნახოთ, რა და როგორ იქნება...


## მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი



*თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს.*

*თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი*

*რევაზ ქანტურია.*

*ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)*



## განცხადება:

**იყიდება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი. მის:იერუსალიმის №4 ტელ: 551 499 555**


რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში“

E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი ზ. აბრალავა